საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზღარბი

ზღარბი, ჩვეულებრივი ზღარბი (Erinaceus europaeus), ძუძუმწოვარი, ზღარბისნაირთა (Eri naceomorpha) რიგისა, ზღარბისებრთა (Erinaceidae) ოჯახის წარმომადგენელი. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა (სამხრ.-აღმ. აზიის გარდა) და აფრიკაში. შეყვანილია ახალ ზელანდიაში. ცხოვრების ნირი მკაცრად ღამისა აქვს, სხეული – მკვრივი, კუდი – ძალიან მოკლე, ფართოდ განლაგებული ფეხები. ზურგი და, ნაწილობრივ, გვერდები დაფარულია ეკლებით; მათ შორის განლაგებულია წვრილი ძაფისმაგვარი ბეწვი. ეკლები წარმოადგენენ სახეშეცვლილ ბეწვს. ისინი არ ცვივა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზ. იცვლის პირველად ეკლებს და უვითარდება მოზრდილი ზ-ის ეკლები. კანის ქვეშ განლაგებულია სიგრძივი და რგოლოვანი კუნთები, რ-თა შეკუმშვის შედეგად ზ. გორგლის ფორმას იღებს. მაკეობა გრძელდება 40–58 დღე, ბადებს 3–6 ნაშიერს (იბადებიან რბილი ეკლებით), სიცოცხლის ხანგრძლივობა – 2–8 წელი (შინაურ პირობებში – 16 წლამდე). ზ. იკვებება როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური საკვებით (ბაყაყები, გველები). საშუალოდ ზ. დღე-ღამეში 200 გ მწერს ჭამს.

ი. ელიავა